პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 128 (5158)

1974 წ. 30 ივნისი, კვირა.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

# ფინალურ შეჯიბრებათა სარბიელი — ყველა მოძმე რესპუბლიკის დედაქალაქები

**სსრ კავშირის ხალხთა VI საზაფხულო სპარტაკიადის საორგანიზაციო კომიტეტის სხდომა**

თანდათან ახლოვდება სსრ კავშირის ხალხთა VI საზაფხულო სპარტაკიადა. ამ ასპარეზობის დროში ქვეშ ტარდება მასობრივი შეჯიბრებები საწარმოებში, მშენებლობებზე, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, დაწესებულებებში, უმაღლეს და საშუალო სასწავლებლებში, პროფტექგანათლების სასწავლებლებში. სპარტაკიადა წლევანდელი ზაფხულის მთავარი მოვლენაა, საბჭოთა სპორტის დიდი საყოველთაო-სახალხო დღესასწაული, და სავსებით გასაგებია, რომ მას უდიდესი ყურადღება ექცევა.

მნიშვნელოვანი საკითხები განიხილა 27 ივნისს სსრ კავშირის ხალხთა VI საზაფხულო სპარტაკიადის საორგანიზაციო კომიტეტის მორიგმა სხდომამაც, რომელსაც ხელმძღვანელობდა სსრ კავშირის სპორტკომიტეტის თავმჯდომარე ს. პ. პავლოვი.

სსრ კავშირის სპორტკომიტეტის მოადგილემ, სპარტაკიადის მთავარმა მსაჯმა ა. კოლესოვმა სხდომას მოახსენა ფინალურ შეჯიბრებათა ჩატარების ვადებისა და ადგილების შესახებ. პირველი გამარჯვებულნი გამოვლინდებიან ადრეულ გაზაფხულზე, მომავალი წლის მარტში, როცა ტაშკენტში მოკრივეთა ტურნირი ჩატარდება. ბოლოს, 1975 წლის 26-31 ივლისს იასპარეზებენ მძლეოსნები. მათი სარბიელი იქნება ლუჟნიკი — ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონი.

— ფინალურ შეჯიბრებათა გეოგრაფია, — ხაზგასმით აღნიშნა ა. კოლესოვმა, — ამჯერად განსაკუთრებით ფართოა. თუ წინათ გადამწყვეტი სასპარტაკიადო ბატალიების მოწმენი ძირითადად მოსკოველები იყვნენ, ახლა ეს შესაძლებლობა ყველა მოკავშირე რესპუბლიკის მცხოვრებლებს მიეცემათ.

ამასთან დაკავშირებით დამსწრეთ ყურადღებით მოისმინეს სსრ კავშირის სპორტკომიტეტის მოსახლეობის ფიზიკური აღზრდის მთავარი სამმართველოს უფროსის ლ. ივანოვის ცნობა იმ დახმარების ღონისძიებათა შესახებ, რომელიც მოკავშირე რესპუბლიკებს უნდა გაეწიოთ როგორც ნაკრებს გუნდების მომზადებაში, ისე VI საზაფხულო სპარტაკიადის პროგრამაში შემავალ ცალკეულ სახეობებში ფინალურ შეჯიბრებათა ჩატარებაში. სსრ კავშირის სპორტკომიტეტი ყველა რესპუბლიკაში გაგზავნის მწვრთნელთა და სპეციალისტთა ბრიგადებს, რომლებიც ადგილობრივ მუშაკებს დახმარებას გაუწევენ სემინარებისა და კონფერენციების ორგანიზაციაში, მოწინავე ოსტატებთან სასწავლო-საწვრთნელი და აღმზრდელობითი მუშაობის გაშლაში, რესპუბლიკური სპარტაკიადებისა და საკავშირო ფინალური შეჯიბრებების მომზადებასა და ჩატარებაში. ამასთან განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა იმ სპორტული ბაზების მატერიალურ-ტექნიკურ უზრუნველყოფას, სადაც სპარტაკიადის გადამწყვეტი შეჯიბრებები უნდა ჩატარდეს.

ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანა, რომელსაც საყოველთაო-სახალხო სპარტაკიადა ისახავს, ესაა მოსახლეობის მასობრივად ჩაბმა სპორტში, ტურიზმში, ფიზიკური კულტურის გამოყენება ახალგაზრდობის აღზრდისთვის, მშრომელთა ჯანმრთელობის განმტკიცებისთვის, მომზადება მაღალნაყოფიერი შრომისა და სამშობლოს დაცვისთვის. ეს ამოცანა არ შეიძლება გადაწყდეს მრავალმხრივი პროპაგანდის გარეშე. პრესა, რადიო, ტელევიზია, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების მუშაობა — ფართო იდეოლოგიური ფრონტის ყველა საშუალება მიმართული უნდა იყოს საბჭოთა ფიზკულტურული მოძრაობის ყველა რგოლში სპარტაკიადის მსვლელობის ფართოდ გაშუქებისკენ.

სსრ კავშირის სპორტკომიტეტის პროპაგანდის სამმართველოს უფროსმა ა. ვალიახმეტოვმა საორგანიზაციო კომიტეტს მოახსენა იმ ღონისძიებათა შესახებ, რაც უკვე განხორციელდა სპარტაკიადის პროპაგანდის გაფართოებისა და მოსახლეობის სამხედრო-პატრიოტული აღზრდის მიზნით. სამმართველომ დაამუშავა, აგრეთვე, პრესაში, ტელევიზიითა და რადიოთი სსრ კავშირის ხალხთა VI საზაფხულო სპარტაკიადისა და სამხედრო-პატრიოტული თემის უკეთ გაშუქებაში საკავშირო კონკურსის დებულება. ეს კონკურსი ჩატარდება წლევანდელი ივნისიდან 1975 წლის აგვისტომდე.

სპარტაკიადის პროპაგანდის საკითხები კვლავაც ყურადღების ცენტრში უნდა იდგეს. შემოდგომისთვის განზრახულია სსრ კავშირის სპორტულ ჟურნალისტთა ფედერაციის მორიგი პლენუმის ჩატარება. სპორტულ ჟურნალისტთა საკავშირო თათბირ-სემინარებზე განხილული იქნება სპარტაკიადის პირველი ეტაპების გაშუქების შედეგები. ფინალურ ასპარეზობათა წინ, ვინაიდან ეს შეჯიბრებები სხვადასხვა ქალაქში ჩატარდება, მოეწყობა პრეს-ცენტრების ხელმძღვანელთა და მუშაკთა თათბირ-სემინარები. ეჭვი არ არის, ეს ხელს შეუწყობს ზუსტი და ოპერატიული ინფორმაციის მიწოდებას საბჭოთა სპორტის დიდი და ამაღელვებელი ზეიმის მსვლელობის შესახებ. საორგანიზაციო კომიტეტმა გამოთქვა სურვილი, რომ სპორტულმა ჟურნალისტებმა, ტელევიზიისა და რადიოს მუშაკებმა კიდევ უფრო ნათლად და მრავალფეროვნად გვიამბონ სსრ კავშირის ხალხთა VI საზაფხულო სპარტაკიადის შესახებ, რომელიც ეძღვნება დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების 30-ე წლისთავს და ტარდება დევიზით: „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის დაცვისთვის".

„სოვეტსკი სპორტი", № 149 (8018)

## სსრ კავშირის გუნდი ოლიმპიადის ჩემპიონია

ნიცაში, XXI საჭადრაკო ოლიმპიადის მთავარ ფინალში XIII ტურიდან გადადებული პარტიების დამთავრების შემდეგ ლიდერთა ექვსეულში იყვნენ: სსრ კავშირი—40 ქულა, იუგოსლავია — 34, ბულგარეთი — 32, ჰოლანდია, აშშ — 31,5-31,5, უნგრეთი — 30,5.

გთავაზობთ XIII ტურის დაუმთავრებელი მატჩების საბოლოო შედეგებს: გფრ — უნგრეთი 1,5:2,5, ფინეთი — ბულგარეთი 1,5:2,5, არგენტინა — ჩეხოსლოვაკია 1:3, რუმინეთი — ფილიპინები 2:2, შვეცია — უელსი 2,5:1,5, აშშ — იუგოსლავია 2,5:1,5.

ბოლოსწინა, XIV ტურში სსრ კავშირის გუნდი შეხვდა ფილიპინების ნაკრებს. კორჩნოიმ ყაიმით დაამთავრა შეხვედრა ტორესთან, რომელსაც ფიდემ ამ დღეებში საერთაშორისო დიდოსტატის წოდება მიანიჭა. სპასკიმ მოუგო კარდოსოს, ტალმა — ნარანიას, კუზმინმა — ბორდონადეს.

ამრიგად, საბჭოთა მოჭადრაკეებმა ვადამდე მოიპოვეს ოლიმპიადის ჩემპიონობა. მათ 43,5 ქულა მოაგროვეს და 7,5 ქულით უსწრებენ იუგოსლავიის გუნდს, რომელსაც დასკვნითს, XV ტურში შეხვდებიან.



საბჭოთა კავშირის ტანმოვარჯიშე ქალთა ნაკრებს ყოველ წელიწადს ემატებიან ნიჭიერი სპორტსმენები. წლევანდელი სეზონი გამონაკლისი არ არის. ნაკრებს შეემატა 15 წლის მოსწავლე სვეტლანა გროზდოვა (დონის როსტოვი). ჯერ კიდევ წლის დამდეგს მან ბრწყინვალედ მოიგო აბსოლუტური I ადგილი მოსკოვის საერთაშორისო შეჯიბრებაში გაზეთ „მოსკაუ ნიუსის" პრიზებზე, მერე გაიმარჯვა საზღვარგარეთ გამართულ ტურნირში, I ადგილი დაიკავა სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების ჩემპიონატში, სადაც ო. კორბუტი ჩამოიტოვა, და დასასრულ ქვეყნის ჩემპიონატში მრავალჭიდში IV ადგილზე გავიდა. ეს შედეგები კარგი „შესასვლელი გადასახადია" სსრ კავშირის ტანმოვარჯიშეთა ნაკრების ძირითად შემადგენლობაში დამკვიდრებისთვის.

* * *

სურათზე: ს. გროზდოვა.

ვ. გალაკტიონოვის ფოტო.

## ლიდერთა შორის

ტალინი (ტასის). აქ გრძელდება ბალტიის XXVI საერთაშორისო რეგატა აფროსნობაში, რომლის პროგრამაშიც ყველა კლასის ნავებით რბოლა შედის. მასპინძლები, საბჭოთა კავშირის სპორტსმენები, ჯერჯერობით მხოლოდ „სოლინგით" შეჯიბრებას აგებენ, სადაც 4 რბოლის შემდეგ გდრ-ის გუნდის წევრები დაწინაურდნენ. შვარცმა სამი რბოლა მოიგო (მხოლოდ მეორე რბოლაში წაიფორხილა — VIII ადგილი დაიკავა) და 14 საჯარიმო ქულით ლიდერობს. II ადგილზეა ასევე გდრ-ის გუნდის წევრი ბელოვი — 26, III — მაქსიმოვი (შეიარაღებული ძალები) — 37.

კატამარან „ტორნადოთი" სოხუმელ ახუბას („განთიადი") პირველ რბოლაში მეოთხე შედეგი ჰქონდა, მეორეში კი ხელი მოეცარა — IX ადგილს დასჯერდა, მაგრამ მერე მდგომარეობა გამოასწორა. მომდევნო ცდებით მან I და VI ადგილები დაიკავა და ოთხი რბოლის ჯამში მესამე იყო. ახუბას 34,7 საჯარიმო ქულა აქვს. წინ არიან ვასილიევი (შეიარაღებული ძალები) — 31, და კრილოვი („კოდნიკი") — 26,7.

ახუბას თანაქალაქელი ხუხუაც არ გამოდის ცუდად. „ფინის" კლასის ნავებით მეოთხე რბოლაში მან გაიმარჯვა კიდეც, მაგრამ ოთხი დისტანციის ჯამში ჯერჯერობით სამეულის მიღმაა. აქ დაწინაურდა ბალაშოვი (შეიარაღებული ძალები) — 14,5 ქულა.

სხვა კლასის ნავებით რბოლაში ლიდერობენ: „470"-ით — იგნატენკო — 16,7, „მფრინავი ჰოლანდიელით" — ლეონტიევი — 5,7, „ტემპესტით" — მანკინი — 8,7, „დრაკონით"—ტინეევი (ყველა — შეიარაღებული ძალები) — 6,0.

## ერთი ბურთის სხვაობით

კიევი, 28 ივნისი. უმაღლესი კლასის წყალბურთელთა გუნდების ჩემპიონატის მეორე წრის II ტურში გაიმართა მესამე დღის მატჩები. კვლავ წარუმატებლად ითამაშეს თბილისის „დინამოს" წყალბურთელებმა, რომლებიც შეხვდნენ თავიანთს მოსკოველ თანაკლუბელებს. გაიმარჯვეს მოსკოველმა სპორტსმენებმა — 6:5. ძლიერად ითამაშეს ლიდერებმა, მოსკოველმა სტუდენტებმა. მათმა მეტოქეებმა, ლვოვის დინამოელებმა ვერაფერი გააწყვეს ძლიერი მეტოქის წინააღმდეგ და დიდი ანგარიშით დამარცხდნენ — 1:6. სამხედრო-საზღვაო ფლოტის ცენტრალური საწყლოსნო სპორტკლუბისა და კიევის „დინამოს" გუნდების მატჩი ფრედ დამთავრდა — 5:5.

### გათამაშების ცხრილი

I-VI ადგილებისთვის

მდგომარეობა 30 ივნისისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| უნივერსიტეტი | 14 | 13 | 0 | 1 | 74:39 | 26 |
| ცენტრალური საწყლოსნო სპორტკლუბი | 14 | 7 | 5 | 2 | 74:57 | 19 |
| „დინამო" (კ.) | 14 | 8 | 3 | 3 | 61:50 | 19 |
| „დინამო" (მ.) | 14 | 4 | 8 | 2 | 58:53 | 16 |
| „დინამო" (ლ.) | 14 | 6 | 3 | 5 | 49:57 | 15 |
| „დინამო" (თბ.) | 14 | 4 | 2 | 8 | 67:72 | 10 |

## პრიზიორებში ვერ მოხვდნენ

დიდი ხანი არ არის, რაც ჩატარდა ძიუდოისტთა რესპუბლიკური ჩემპიონატი. ახლახან კი ჭიდაობის ამ სახეობაში ისევ ახალი რესპუბლიკური ტურნირი მოეწყო. ამჯერად ფალავანთა კლუბში „დინამოს", „სპარტაკის", „ბურევესტნიკის", „ლოკომოტივის", „განთიადის", „შრომითი რეზერვებისა" და „კოლმეურნის" 100-მდე ახალგაზრდა ასპარეზობდა. მონაწილეთა რიცხვი ალბათ უფრო მეტიც იქნებოდა, ზოგიერთი სპორტსმენი სესიებით რომ არ იყოს დაკავებული.

ჩემპიონატი საინტერესოდ ჩატარდა. პრიზიორთა სამეულის მიღმა დარჩა რამდენიმე ტიტულოვანი ათლეტი. მათ შორის, რესპუბლიკის ჩემპიონი ზ. კეთილაძე, საქართველოს პირველობის მეორე პრიზიორი თ. არქანია და სხვები.

ასპარეზობამ ცხადყო ძიუდოს პოპულარობა ჩვენს ახალგაზრდებში. მწვრთნელებიც კეთილსინდისიერად და საქმის ცოდნით ეკიდებიან მათ აღზრდას. ქებით უნდა მოვიხსენიოთ საქართველოს დამსახურებული მწვრთნელები დ. ჩაჩანიძე და გ. ზაუტაშვილი, რომელთა აღსაზრდელებსაც მუდამ გამოარჩევთ კარგი ფიზიკური და ტექნიკური მომზადებით.

გთავაზობთ ჩემპიონთა გვარებს (წონითი კატეგორიების მიხედვით): თ. ნოსელიძე („ბურევესტნიკი"), გ. ჩოჩიშვილი („განთიადი"), დ. ბოდაველი" (კოლმეურნე"), ზ. ბახტაძე რ. ჭიკაიძე (ორივე — „ბურევესტნიკი").

ო. ჩხაიძე,
სპორტის ოსტატი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## აქედანვე ვემზადოთ სსრ კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადისთვის!

ვინც კალათბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის დღეებში თბილისის სპორტის სასახლეში ყოფილა, მას არასოდეს დაავიწყდება განუმეორებელი, ენით აუწერელი ატმოსფერო: სასახლის უზარმაზარ თაღქვეშ ათი ათასი მაყურებელი, როგორც ერთი კაცი, გააფთრებული (სხვა სიტყვა ვერ მოვიძებნე) იძლევა პასუხს ცენტრალური მატჩების ყოველ საინტერესო მომენტზე. ზოგჯერ იქმნება შთაბეჭდილება, რომ ეს გულშემატკივრების აუდიტორია კი არა, გაგარვარებული მოქმედი ვულკანია, რომელიც განუწყვეტლივ აფრქვევს ღველფსა და ლავას. სწორედ ეს რეაქცია ანიჭებს კალათბურთს უაღრესად თავისებურ კოლორიტს და, თუ გნებავთ, ჯანსაღ დრამატიზმსაც. სამწუხაროდ, მაყურებელთა ერთი ნაწილი გულშემატკივრობის ყოველგვარ საზღვარს არღვევს და აშკარად ხულიგნურად იქცევა. მაგრამ ეს ცალკე საკითხია და ჩვენს წერილთან თითქმის არავითარი კავშირი არა აქვს. ერთი კი ცხადია: კალათბურთი, მხედველობაში გვაქვს უმაღლესი კლასის კალათბურთი, ხალხის უსაყვარლესი თამაშია და მუდამ დიდ ადამიანურ ემოციებს იწვევს.

რაღა ბევრი გავაგრძელოთ. კალათბურთი კალათბურთია, ხოლო ქართული კალათბურთი რა არის, ეს კარგად მოეხსენება ოთარ ქორქიას, ნოდარ ჯორჯიკიას, ლევან ინწკირველის, გურამ მინაშვილის, ვლადიმერ უგრეხელიძის, ზურაბ საკანდელიძისა და სპორტის ამ სახეობის სხვა დიდოსტატთა მშობელ ერს.

ქართული კალათბურთი მრავალი წლის მანძილზე ჰყვაოდა, იგი ჰგავდა ტანმაღალ, მძლავრ, მსხმოიარე ხეს, რომელიც სისტემატურად გვაძლევდა ახალ-ახალ ტალანტებს.

როგორც გამოჩენილ პოეტს უთქვამს, „ეს იყო წინათ, დიდი ხნის წინათ...“ ქართული კალათბურთი დღესდღეობით სულაც აღარ მოგაგონებთ იმ მძლავრ, ნაყოფიერ ხეს. იგი ძველებურად ვეღარ იძლევა უხვ ნაყოფს, ხოლო ძლიერი მეტოქეების კომპანიაში ხშირად იჩაგრება კიდეც. ჩვენ, მაყურებლებს, კალათბურთის მოყვარულებს, არ გვინდა ვირწმუნოთ ეს. სპორტის სასახლეში მუდამ იმედიანად მივდივართ, დარწმუნებული, რომ „დინამოს“, ჩვენს ძველ, საყვარელ „დინამოს“, ვერც ერთი გუნდი ვერ მოუგებს. არის რაღაც საგულისხმო და ნიშანდობლივი ამ ფაქტში. გაიხსენე, მკითხველო, სპორტის რამდენ სახეობაზე ჩაიქნიე ხელი, რამდენმა გუნდმა გადაგიწურა იმედი, მაგრამ „დინამოს“ კალათბურთელთა გუნდის სისუსტე არ გინდა დაიჯერო. და ჩვენ, ათიათასიანი აუდიტორიის რიგითი წევრები, ნიადაგ გამარჯვების ღრმა რწმენით მივემართებით სპორტის სასახლის ნაცნობი შენობისკენ. იქ თამაშობს ჩვენი საყვარელი გუნდი.

მაგრამ ჩვენი განსაკუთრებული სიმპათიისა და, რა დასამალია, ალალი „ტენდენციურობის“ მიუხედავად, რამდენჯერ დავფიქრებულვართ იმაზე, რომ დღესდღეობით ქართულ კალათბურთს, ანუ მის საუკეთესო წარმომადგენელს, შესაფერისი ადგილი არ უჭირავს საკავშირო კლასიფიკაციაში. „დინამო“, ჩვენი „დინამო“, რაღაც შეუმჩნევლად, ფარულად და თითქოს შემთხვევით ჯერ საპრიზო ადგილებისთვის ბრძოლას გამოეთიშა, ხოლო შემდეგ საბოლოოდ დაიგდო ეგრეთ წოდებული საშუალო გუნდის სახელი. „დინამო“ დღესაც მოსწონთ, მისი თვითმყოფობისთვის, კოლორიტისთვის, გამჭრიახობისთვის, თავისებური ტექნიკური ფერადოვნებისთვის... მაგრამ ეს ის „დინამო“ აღარ არის, რომელსაც წინათ ვიცნობდით. ამ „დინამოს“ საშინელი ნაკლი დასჩემდა: ბრწყინვალე თამაშებს უფრო ხშირად ენაცვლება აუხსნელი დამარცხებები. ვითომ აუხსნელი? და, სწორედ ამაზე გვინდა ვისაუბროთ, გავერკვეთ, რა ციებცხელებითაა გუნდი შეპყრობილი.

მიზეზი მრავალია. ამ წერილში ყველას ვერ გავწვდებით. მაგრამ ბოლოს და ბოლოს ხომ უნდა დაიწყოს პრინციპული საუბარი იმაზე, რა მიზეზითაც გუნდი სულ დაბლა და დაბლა მიექანება.

უკვე რამდენიმე წელია ლაპარაკობენ, რომ თბილისის „დინამოს“ „გრძელი სკამი“ არა აქვს. საუბარია ნიჭიერი კალათბურთელების აშკარა უკმარობაზე, ტანმაღალი მოთამაშეების დეფიციტზე. ავიღოთ შარშანდელი წელი. ისედაც დაძაბუნებული გუნდი, ვისთვისაც თითოეული ძირითადი მოთამაშე ჭეშმარიტად ოქროდ ფასობდა, ფაქტიურად კატასტროფის წინაშე დადგა. გუნდმა ჩემპიონატის მსვლელობაში დაკარგა რამდენიმე მოთამაშე (ძიძიგური, ბოლქვაძე, საკანდელიძე, პულავსკი და სხვ.), რაც შეეხება ცენტრალურ თავდამსხმელს ვასიუტინსკის, მისი ულირსი საქციელი გუნდს ურთობ ძვირად დაუჯდა. ძნელია მოძებნო ისეთი სპორტსმენი, რომელიც ვასიუტინსკის მსგავსად უგულებელყოფდა არა მარტო სპორტულ რეჟიმს, არამედ ელემენტარულ ეთიკურ კანონებსაც. სხვათა შორის, მან გუნდს უღალატა მაშინ, როცა ცენტრალური თავდამსხმელის ადგილზე არავინ იყო. თუ რას ნიშნავს ცენტრალური თავდამსხმელი თანამედროვე კალათბურთში, ეს მკითხველს კარგად მოეხსენება.

ერთი სიტყვით, მუდმივმა ტრავმებმა, რასაც დაერთო სათამაშო და სავარჯიშო დისციპლინის ხშირი დარღვევები, გუნდს აუნაზღაურებელი ზიანი მიაყენა. ამიტომ მეექვსე ადგილი შარშანდელ საკავშირო ჩემპიონატში ურიგო შედეგი არ უნდა იყოს. მაგრამ ლაპარაკია არა რომელიმე „ჩვეულებრივ“ გუნდზე, არამედ თბილისის „დინამოზე“, რომელიც არც ისე დიდი ხნის წინათ საბჭოთა კალათბურთის მშვენება იყო.

აქვე გვინდა ყურადღება გავამახვილოთ ერთ ფრიად საჭოჭმანო საკითხზე. ეს გახლავთ „დინამოს“ შევსება ახალ-ახალი მოთამაშეებით. შევსება არ არის! გუნდის შემადგენლობაში კარგა ხანია ვერ ვხედავთ ახალ გვარებს, რომელთაც უნარი შესწევთ ქართული კალათბურთის ჭაპანი გასწიონ. საშუალო მოთამაშეებით კი შორს ვერ წახვალ, უკეთეს შემთხვევაში შეიძლება მშვიდად „გაიხვენო“ სადღაც სატურნირო ცხრილის შუაგულში.

განა ეს საკითხი არ განხილულა? რამდენჯერაც გნებავთ. მაგრამ ეს პრობლემა კომპლექსური [illegible] და მტკიცედაა გადაჯაჭ[illegible] კალათბურთთან, ადგილებზე ნიჭიერი სპორტსმენების გამოზრდასთან და მათთვის ნორმალური საყოფაცხოვრებო-სპორტული პირობების შექმნასთან, მწვრთნელთა კვალიფიკაციასთან, კალათბურთის მესვეურების საქმიანობასთან და ა. შ. ჩვენ დავასახელეთ საკითხების ის წრე, სადაც, სხვა რომ არა ვთქვათ, ყველაფერი

## გვინდა

რიგზე როდია. თბილისის „დინამოსა“ და მასობრივ კალათბურთს შორის აღმართულია გადაულახავი კედელი, რომელიც ჩვენს გუნდს უხშობს მაცოცხლებელ წყაროს. გუნდის მწვრთნელები იძულებული არიან თვალისჩინივით გაუფრთხილდნენ თითოეულ მოთამაშეს, უარი არ თქვან მათს „სამსახურზე“ მაშინაც კი, როცა ესა თუ ის კალათბურთელი რაიმე მიზეზის გამო (სპორტული, მორალურ-ეთიკური) არ არის ღირსი ეცვას რესპუბლიკის უძლიერესი გუნდის მაისური, ხოლო როცა გუნდს საპატიო მიზეზების გამო ჩემპიონატის მსვლელობაში ეთიშებიან მოწინავე კალათბურთელებიც, ადვილი გასაგებია, რომ ასეთ კამპანიაში რაიმე სერიოზულ წარმატებებზე ფიქრიც ზედმეტია.

რა დასკვნა შეიძლება გამოვიტანოთ ნათქვამიდან? ბოლოს და-



# სასიამოვნო ძვრები

შეჯიბრება თავისუფალ და კლასიკურ ჭიდაობაში პირველ ყოვლისა იმით იყო აღსანიშნავი, რომ საოცრად წარმომადგენლობითი გახლდათ. საქმე მარტო ის როდია, რომ ასპარეზობაში მონაწილეობდნენ ჩვენი რესპუბლიკის თითქმის ყოველი კუთხის წარმომადგენლები, მთავარი ისაა, რომ ამაღლდა პერიფერიების სპორტსმენთა ჭიდაობის ხარისხი. თვალის ერთი გადავლებითაც აშკარად შეიმჩნევა, თუ რა სასიამოვნო ძვრები ხდება რაიონებში მაღალი კლასის ნორჩ მოჭიდავეთა აღზრდაში. საკმარისია აღინიშნოს, რომ ორივე სახეობის 22 ჩემპიონიდან თბილისელი მხოლოდ ხუთია.

განსაკუთრებით გვახარებს ქუთაისელთა წარმატებები. როგორც ჩანს, ამ მდიდარი სპორტული ტრადიციების მქონე ქალაქში აღორძინებას იწყებს ჭიდაობის ორივე სახეობა. ეს განსაკუთრებით კლასიკური ჭიდაობის შესახებ ითქმის: 11 ჩემპიონიდან სამი ქუთაისელია (აღსანიშნავია, რომ პრიზიორებშიც ამდენივე მოჭიდავე მოხვდა).

გამოჩნდნენ ნიჭიერი, პერსპექტიული მოჭიდავეები რესპუბლიკის სხვა რაიონებშიც.

თავისუფალ ჭიდაობაში აღსანიშნავია თბილისელი დ. გიგაურის (56 კგ) გამარჯვება. მან ხუთი შეხვედრა წმინდად მოიგო, ერთი — აშკარა უპირატესობით და ერთიც — ქულებით. კარგი შთაბეჭდილება დატოვეს ბათუმელმა თ. ბერიძემ (65), ქუთაისელმა ფ. ჩხარტიშვილმა (70), თავისებური „რეკორდი“ დაამყარა გარდაბნელმა გ. მოშიტაშვილმა, რომელმაც ექვსი შეხვედრა წმინდად მოიგო და ამას სულ რაღაც 18 წუთი მოანდომა.

უსიამოვნო შთაბეჭდილება დატოვა სოხუმელი გ. ჩალაძისა და თბილისელი გ. გელაშვილის (მძიმე წონა) ფინალურმა ბრძოლამ. ორივეს 4-4 წმინდა მოგება ჰქონდა და გამარჯვებული სპარტაკიადის ჩემპიონი ხდებოდა. მაგრამ ახლა ორივემ იმდენად პასიურად იჭიდავა, რომ მსაჯთა კოლეგია იძულებული შეიქნა მოეხსნა სპორტსმენები და მათთვის წაგება ჩაეთვალა. ჭეშმარიტ სპორტსმენს არ შეჰფერის ასეთი საქციელი. მით უმეტეს სპორტული კარიერის დასაწყისში. ეს კარგი გაკვეთილი უნდა იყოს სპორტსმენებისთვის (სპარტაკიადის ჩემპიონობა მიეკუთვნა ჩალაძეს, ვინაიდან მას ნაკლები დრო ჰქონდა დახარჯული წინა შეხვედრების მოგებისთვის).

კლასიკურ მოჭიდავეთა შორის კარგი მომავლის მქონენი არიან ქუთაისელი ტ. ფოცხვერია (60), მახარაძელი ი. ზურაბიანი (65), თბილისელი ზ. ყუბუსიძე (70), სოხუმელი მ. კუხიანიძე (81), თბილისელი გ. კალატოზიშვილი (მძიმე) და სხვ.

გაგაცნობთ პრიზიორებს თავისუფალ და კლასიკურ ჭიდაობაში.

თავისუფალი ჭიდაობა. 45 კგ: 1. ა. გამყრელიძე (ბოლნისი), 2. რ. აბზიანიძე (ქუთაისი), 3. ზ. შუკაკიძე (კასპი).

48 კგ: 1. შ. მაისურაძე (ცხინვალი), 2. მ. ელიკაშვილი (გორის რაიონი), 3. მ. ანთაძე (ბათუმი).

52 კგ: 1. ო. მინდიაშვილი (რუსთავი), 2. ზ. გულიშვილი (თბილისი), 3. ნ. ადლეიბა (სოხუმი).

56 კგ: 1. დ. გიგაური (თბილისი), 2. გ. ვეფხვაძე (ორჯონიკიძე), 3. თ. ლასურაშვილი (გარდაბანი).

60 კგ: 1. ა. მშვენიერაძე (ქუთაისი), 2. ბ. ჩოჩიევი (ცხინვალი), 3. რ. მჭითური (თბილისი).

65 კგ: 1. თ. ბერიძე (ბათუმი), 2. გ. მაკასარაშვილი (თბილისი), 3. მ. რეხვიაშვილი (ბოლნისი).

70 კგ: 1. ფ. ჩხარტიშვილი (ქუთაისი), 2. ი. მჟავია, 3. ვ. დრიაევი (ორივე — თბილისი).

75 კგ: 1. გ. ქოჩაშვილი (ახმეტა), 2. ი. კვანტალიანი, 3. ზ. ზუბიაშვილი (ორივე — თბილისი).

81 კგ: 1. გ. მოშიტაშვილი (გარდაბანი), 2. დ. მეფარიშვილი (მაიაკოვსკი), 3. ჯ. თედეევი (ცხინვალი).

87 კგ: 1. გ. მაღრაძე (ორჯონიკიძე), 2. ბ. ჯიბლაშვილი (რუსთავი), 3. ს. კანდელაკი (თბილისი).

მძიმე: 1. გ. ჩალაძე (სოხუმი), 2. გ. გელაშვილი (თბილისი), 3. ნ. ნუგზარიშვილი (კასპი).

გუნდური: I ჯგუფი — 1. თბილისი, 2. სამხრეთ ოსეთი, 3. ქუთაისი. II ჯგუფი — 1. კასპი, 2. ბოლნისი, 3. ყვარელი.

კლასიკური ჭიდაობა. 45 კგ: 1. ნ. მამაიაშვილი (რუსთავი), 2. რ. ბერიძე (თბილისი), 3. გ. ხვადაგიანი (ქუთაისი).

48 კგ: 1. თ. ხატიაშვილი (თბილისი), 2. ი. კახაია (ქუთაისი), 3. ა. მეგრელიშვილი (მახარაძე).

52 კგ: 1. რ. შალამბერიძე (ქუთაისი), 2. ფ. ხომასურიძე (ონი), 3. ტ. სხირტლაძე (თბილისი).

56 კგ: 1. ო. თეთვაძე (ქუთაისი), 2. რ. გოგლიძე (თბილისი), 3. ო. რობაქიძე (თერჯოლა).

60 კგ: 1. ტ. ფოცხვერია (ქუთაისი), 2. ა. ქართველიშვილი (წყალტუბო), 3. თ. ბალავინოვი (მახარაძე).

65 კგ: 1. ი. ზურაბიანი (მახარაძე), 2. თ. ფსუტური, 3. გ. ჩერტკოევი (ორივე — თბილისი).

70 კგ: 1. ზ. ყუბუსიძე (თბილისი), 2. თ. ხარაიშვილი (რუსთავი), 3. თ. კალატოზიშვილი (თბილისი).

75 კგ: 1. ბ. ხმელიძე (მახარაძე), 2. ნ. იდუკაშვილი (რუსთავი), 3. ზ. ამანათაშვილი (თბილისი).

81 კგ: 1. მ. კუხიანიძე (სოხუმი), 2. კ. ნინიძე (თბილისი), 3. გ. ჭანიშვილი (ქუთაისი).

87 კგ: 1. მ. სურმავა, 2. თ. გუშარაშვილი (ორივე — თბილისი), 3. მ. სიორიძე (მახარაძე).

მძიმე: 1. გ. კალატოზიშვილი (თბილისი), 2. დ. ყიფიანი (ჭიათურა), 3. ხ. დოლიძე (თბილისი).

გუნდური: I ჯგუფი — 1. თბილისი, 2. ქუთაისი, 3 მახარაძე, II ჯგუფი — 1. ჭიათურა, 2. წყალტუბო, 3. საგარეჯო.

ა. ცეხანელი.



როგორც ვიუწყებოდით, ლენინგრადში ჩატარდა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის დაარსების 250 წლისთავისადმი მიძღვნილი აკადემიადა, რომელშიც წარმატებით გამოვიდა საქართველოს გუნდი. კერძოდ, ჩვენმა წარმომადგენლებმა გაიმარჯვეს კალათბურთელ ვაჟთა პირველობაში და ჩოგბურთელთა ასპარეზობაში. დ. დემეტრაძის ფოტოზე თქვენ ხედავთ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ჩოგბურთელთა გუნდს, სპორტის ოსტატებს (მარცხნიდან): ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატს ლ. მძინარიშვილს, ნ. თუხარელსა და პ. მეტრეველს. ამ შეჯიბრებაში მათ დაამარცხეს მოლდავეთის, ლიტვის, უზბეკეთისა და უკრაინის გუნდები.

## სამ სახეობაში

ჩოხატაურში დამთავრდა სოფლის სპორტსმენთა II რაიონული სპარტაკიადა, რომლის პროგრამაშიც იყო ჭადრაკი, შაში და ფრენბურთი. შეჯიბრებაში მონაწილეობდა 24 გუნდი.

შაშში სპარტაკიადის ჩემპიონობა მოიპოვა მასპინძელთა გუნდმა. II ადგილზე იყვნენ შუა განახლების, ხოლო III — ნაბეღლავის წარმომადგენლები.

ჭადრაკში გაიმარჯვეს შუა განახლების წარმომადგენლებმა. II ადგილზე გავიდა ხიდისთავის კოლექტივი, III — კოხნარის გუნდი.

ფრენბურთში პირველობა არავის დაუთმეს მასპინძლებმა. მომდევნო ადგილები დაიკავეს ხიდისთავისა და ქვაბლის წარმომადგენლებმა.

საერთო გუნდურ ჩათვლაში სპარტაკიადის ჩემპიონები გახდნენ ჩოხატაურის კოლმეურნეობის ფიზკულტურელები. II ადგილზე გავიდნენ ხიდისთავის, ხოლო III — შუა განახლების სპორტსმენები.

გამარჯვებული გუნდები გარდამავალი თასებითა და სიგელებით დაჯილდოვდნენ.

დ. ბურგვენიძე,
(ჩვენი კორ.).

## „ლელოს“ წერილების კვალდაკვალ

### „რაც ბერიო, ის ერიო“

ამ სათაურით „ლელოს“ 8 ივნისის ნომერში დაიბეჭდა კრიტიკული წერილი, რომელშიც ლაპარაკი იყო საჭიდაოში მძლეოსნობის მსაჯთა გულგრილ დამოკიდებულებაზე.

საქართველოს მძლეოსნობის მსაჯთა კოლეგიის პრეზიდიუმი გვატყობინებს, რომ წერილში აღნიშნული ფაქტები სინამდვილეა, ქალაქის მსაჯთა კოლეგია და მისი პრეზიდიუმი ცუდად მუშაობენ, ფიზკულტურის საქალაქო კომიტეტი კი მათ სათანადო კონტროლს არ უწევს.

ეს მდგომარეობა ბევრი რამითაა გამოწვეული; არც საქართველოს, არც თბილისის ფიზკულტურის კომიტეტებს მსაჯთა მომზადებისა და გადამზადების სემინარების ჩატარებისთვის არ უზრუნიათ; არავინ ფიქრობს ქართულ ენაზე მსაჯობის წესების გამოცემას; ხეირიანი ბაზის უქონლობის გამო თბილისში დიდი ხანია საკავშირო და საერთაშორისო ტურნირი არ გამართულა; არასტაბილურია ასპარეზობათა კალენდარი; არავინ ზრუნავს ტურნირების აფიშირებისთვის, მსაჯების სპეციალური ფორმით, მოწმობებით, განმასხვავებელი ნიშნებით უზრუნველყოფისთვის.

ამასთან, საქართველოს მძლეოსნობის მსაჯთა კოლეგიის პრეზიდიუმი რედაქციის ყურადღებას მიაქცევს იმასაც, რომ ზემდგომი ფიზკულტურული ორგანოები უხეშად არღვევენ წოდებათა მინიჭების წესს, არად აგდებენ პრეზიდიუმის გადაწყვეტილებებს, მაგალითად, მსაჯთა კოლეგიის პრეზიდიუმმა რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯის წოდების მინიჭებაზე უარი უთხრა ვინმე ბანისს (რომელიც საქართველოში არც ცხოვრობს) და კუჩერენკოს, მაგრამ ორივეს თხოვნა რატომღაც დააკმაყოფილეს. ბოლო წლებში რესპუბლიკური რეკორდები წესების დაცვით არ ფორმდება.

### ცხინვალი

ორ დღეს მიმდინარეობდა ამხანაგური სამატჩო შეხვედრა მძლეოსნობაში ფოთისა და ცხინვალის ნაკრებ გუნდებს შორის (ზუგდიდის გუნდი არ გამოცხადდა). საერთო გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს ცხინვალელმა მძლეოსნებმა.

შ. ჩილქოევი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ვირწმუნოთ...

ბოლოს, ერთხელ და სამუდამოდ უნდა მოგვარდეს სრულფასოვანი რეზერვის პრობლემა. ვერავინ დაგვარწმუნებს იმაში, თითქოს მთელს საქართველოში, სადაც ასე უყვართ კალათბურთი, არ იყვნენ ნიჭიერი მოზარდები, სპორტის ამ სახეობის მომავალი დიდოსტატები. ბოლოს და ბოლოს, ხომ შეძლო ქუთაისელმა მწვრთნელმა სულიკო თორთლაძემ გამოეზარდა ხაზჯოთა კალათბურთის ვარსკვლავები საკანდელიძე და ქორქია, მის სხვა აღზრდილებზე რომ არაფერი ვთქვათ? და კიდევ: ბოლო უნდა მოეღოს ვიწრო საუწყებო კინკლაობას, გაუგებარ ეგოიზმს, კუთხურ პატრიოტიზმს, როცა ესა თუ ის მწვრთნელი ან საუწყებო ხელმძღვანელი საქართველოს საუკეთესო გუნდს „უმალავს" იმედის მომცემ კალათბურთელებს. გვახსოვს, როგორ წამოიწყო რესპუბლიკის ერთმა ხოლიდურმა ორგანიზაციამ სახიკეთო თაოსნობა საქართველოში ტანმაღალი, უფრო სწორად „ზემაღალი" მოთამაშეების გამოსავლინებლად. მერე რა? მოთამაშეები მოიძებნენ, მაგრამ მათ უბრალო პირობებიც არ შეუქმნეს თბილისის „დინამოში" დასამკვიდრებლად. გიგანტებმა ქუდი დაიხურეს და თავიანთ რაიონებს დაუბრუნდნენ.

ბაზები, სპორტული ბაზები... აი, კიდევ ერთი მტკივნეული პრობლემა, რომელიც საქართველოს საუკეთესო გუნდს დღემდე ვერ მოუგვარებია. სად ივარჯიშოს თბილისის „დინამომ"? სამწუხაროდ, ეს ლიტონი კითხვა არ არის. ლენინის სახელობის დარბაზი თანამედროვე საკალათბურთო წვრთნა-ვარჯიშისთვის შეუფერებელია, მაგრამ ამას ვინ დაეძებს: გუნდს მუდამ როდი შეუძლია დარბაზში ვარჯიში. იქ იმდენი კოლექტივი და საზოგადოება იყრის თავს, რომ პაწაწკინტელა ბაზა თამაშისა და წვრთნის მსურველებს აშკარად ვერ აუდის. სხვაგან „დინამოს" დარბაზი არა აქვს. თუ ბაზას დავარქმევდით „დინამოს" ადგილსამყოფელს დიღომში, ეს დიდი შეცდომა იქნებოდა. კალათბურთის მოედანი ღია ცის ქვეშ საფეხბურთო მინდვრადაა გამოყენებული, რადგანაც ვარგისი არ არის. კალათბურთელები დიღომში... ფეხბურთს თამაშობენ.

რას აკეთებდა „დინამო" შარშანდელი ჩემპიონატის წინ? იტყვით, ალბათ ვარჯიშობდაო. კარგი იქნებოდა, რომ ევარჯიშა. მაგრამ საამისო პირობები გუნდს არ ჰქონია. ჯერ შავიზღვისპირეთი შემოიარეს სპორტული ბაზის ძებნაში, მერე დაგვიანებით „თავი შეაფარეს" ლესელიძეში. როგორც იქნა, გუნდი შეუდგა ხოულფასოვან წვრთნას, მაგრამ მცირე ხნით, ლესელიძეში დეპეშა აფრინეს, არიქა, ერაყის გუნდი ჩამოდის და ამა და ამ დღეს თბილისში იყავითო. აიკრა „დინამომ" გუდა-ნაბადი, დაარღვია ვარჯიშის ციკლი და თავქუდმოგლეჯილმა დედაქალაქს მოაშურა. აქ გამოირკვა, რომ ერაყელები აღარ ჩამოდიოდნენ. ამ მგზავრობაში, ცდალოდინში საკმაო დრომ განვლო და გუნდსაც ვარჯიში დააკლდა. ასე შეუდგა იგი მარათონულ ჩემპიონატს.

ბაზებს ვინღა ჩივის, თბილისის „დინამოს" საჭირო რაოდენობით სპორტული ფორმა და ინვენტარიც კი არ მოეპოვება. კურიოზია, მაგრამ ფაქტია, რომ მთელი გუნდი შვიდად-შვიდი ბურთის ანაბარაა. ესე იგი ძირითად მოთამაშეებზეც კი ერთი ბურთი არ მოდის...

არ გვინდა მკითხველს ისეთი შთაბეჭდილება შევქმნათ, თითქოს „დინამოს" ყველა წარუმატებლობა „გარეშე" მიზეზებით იყო გამოწვეული. არა, ეს სრულიადაც არ იქნებოდა სამართლიანი. სპორტკომიტეტის 27 ივნისის კოლეგიის სხდომაზე დასახელებულ პრობლემებთან ერთად ცხარე და გულახდილი საუბარი გაიმართა გუნდში შექმნილ ვითარებაზე, რომელსაც ნორმალურს ვერ ვუწოდებთ. მკაცრად იმსჯელეს „დინამოს" ცალკეული მოთამაშეების უდისციპლინობაზე, სპორტული და საყოფაცხოვრებო რეჟიმის უხეშ დარღვევებზე, ენთუზიაზმის, შრომისმოყვარეობის უქონლობაზე, უდარდელობასა და უპასუხისმგებლობაზე... განსაკუთრებით გამახვილდა ყურადღება გუნდის მორალურ-ნებელობითი ტონუსის უკმარობაზე, რაც თავს იჩენს სტუმრად თამაშის დროს. „დინამო" ხშირად მერყეობს, აშკარად სუსტი მეტოქეც კი მას მტკივნეულ დარტყმებს აყენებს. წინასწარ ვერ იტყვი, ჩვენი გუნდი ამა თუ იმ მეტოქესთან უთუოდ გაიმარჯვებსო. ყოველივე ეს განპირობებულია არა მარტო ოსტატობის დონით, არამედ არასაკმაო ფსიქოლოგიური მომზადებითაც. უნდა დაეთმოს თუ არა გუნდის ხელმძღვანელობამ ამ და სხვა საკითხების გადაჭრას მეტი ყურადღება? უთუოდ, უამისოდ გუნდი წინ ვერ წავა.

რა თქმა უნდა, ეს ნაკლოვანებები გუნდში ბევრად შემცირდებოდა, მწვრთნელთა გონება უფრო ვიწრო პრაქტიკული ამბებით რომ არ იყოს დაკავებული. თავად განსაჯეთ, რამდენი რამ გააკეთონ მწვრთნელებმა ერთდროულად: სპორტსმენთა ფორმაზე, ბაზებზე და სხვა საკითხებზე იფიქრონ, თუ გუნდის ფიზიკურ, ტექნიკურ-ტაქტიკურ მომზადებაზე?

ყველაფერი გუნდის ახალგაზრდა და, რა დასამალია, შედარებით გამოუცდელ ხელმძღვანელობას რომ გადავაბრალოთ, არ იქნება სამართლიანი. რესპუბლიკის სპორტკომიტეტი და „დინამოს" რესპუბლიკური საბჭო დახმარებას გუნდისადმი უფრო ფუჭი რიტორიკითა და შიშველი ენთუზიაზმით გამოხატავდნენ, ვიდრე პრაქტიკული, საქმიანი ნაბიჯებით.

ზემოხსენებული კოლეგიის სხდომის დაწყების წინ „დინამოს" ერთ-ერთი კალათბურთელი გულდაწყვეტილი ამბობდა: ასეთი კოლეგიები, სხდომები, თათბირები ბევრჯერ გამართულა, მაგრამ პრაქტიკული ნაყოფი იშვიათად გამოუღია. ამ სხდომაზეც ასეთივე განწყობილებით მივდივართო. იქნებ ჩვენი ნაცნობი კალათბურთელი მართალი არ იყოს, იქნებ სხდომაზე გამართულმა პრინციპულმა და გულახდილმა სჯა-ბაასმა თვალსაჩინო ნაყოფი გამოიღოს, იქნებ მკვდარი წერტილიდან დაიძრას პრობლემები, რომლებიც აგერ უკვე მერამდენე წელია ჰაერშია გამოკიდებული, იქნებ... მაგრამ ყველაფერს დრო დაგვანახვებს, მით უმეტეს, რომ კოლეგიის სხდომის გადაწყვეტილების შემდეგ სულ რამდენიმე დღემ განვლო.

ამ კითხვებზე პასუხის გაცემას მოუთმენლად ელის ქართული კალათბურთი, რომელიც გაისად ხალხთა საკავშირო სპარტაკიადაში უთუოდ ღირსეულად უნდა იყოს წარმოდგენილი.

ა. გოგელია.






სსრ კავშირის თასზე



# მრავალი შეტევა და ერთი გოლი

კიევი. ცენტრალური სტადიონი. 28 ივნისი.

„დინამო" (კიევი) — „დინამო" (თბილისი) 1:0 (0:0).

კიევი: რუდაკოვი, ზუევი, ფომენკო, რეშკო, ტროშკინი, მუნტიანი, კოლოტოვი, ვერემეევი, ონიშჩენკო, ბურიაკი (შეპელი), ბლოხინი.

თბილისი: გაგოშიძე, ძოძუაშვილი, ჰელიძე, ებრალიძე, მუჯირი, გავაშელი, გ. მაჩაიძე, მ. მაჩაიძე, ასათიანი, გუცაევი, წერეთელი (ლ. ნოდია).

მსაჯი ა. ტაბაკოვი (მოსკოვი).

მატჩის დაწყებამდე თბილისის მეკარე დავით გოგიას, რომელიც სათადარიგოთა სკამზე იჯდა, გადაეცა უკრაინის „სპორტივნა გაზეტას" სპეციალური პრიზი შარშანდელ სეზონში საკავშირო პირველობის მატჩებში მაღალ დონეზე ყველაზე მეტი შეხვედრის ჩატარებისთვის.

კიეველებს, რომლებიც საკავშირო ჩემპიონატს ლიდერობენ, აუტსაიდერებთან ბრძოლა თითქოს არ უნდა გასჭირვებოდათ, მით უმეტეს, რომ ამინდიც მათ უფრო უწყობდა ხელს — წვიმდა, დროდადრო კოკისპირულადაც.

მასპინძლებმა თამაში თავბრუდამხვევი შეტევებით დაიწყეს, თბილისელები დაცვაზე გადავიდნენ — ნახევარმცველებმა ასათიანმა, მ. მაჩაიძემ და გავაშელმა უკან დაიხიეს. თბილისელები კონტრშეტევებით ცდილობდნენ წარმატების მოპოვებას, მაგრამ კიეველთა უპირატესობა მაინც აშკარა იყო. შესვენებამდე ონიშჩენკომ, განსაკუთრებით კი ბლოხინმა, მეტოქის კარის აღების რამდენიმე შესაძლებლობა ვერ გამოიყენეს, ვინაიდან თბილისელთა დაცვა და მეკარე გაგოშიძე უშეცდომოდ თამაშობდნენ.

შესვენების შემდეგ მასპინძლები სტუმრების მოედანზე „დასახლდნენ". ბურთი კარგა ხანს ცენტრს არ გასცილებია. მატჩის 56-ე წუთზე ბლოხინმა კარგი კომბინაცია თავური დარტყმითა და გოლით დაამთავრა. ამან კიეველებს თითქოს ახალი ძალა შემატა, ფლანგებიდან და ცენტრიდან შეტევას შეტევა მოსდევდა, მაგრამ გაგოშიძის უშეცდომო თამაშმა მართლაც ყველას მოწონება დაიმსახურა.

მეორე ტაიმში მ. მაჩაიძემ ნახევარდაცვიდან თავდასხმის ცენტრში გადაინაცვლა, ხოლო მერე, როცა ლ. ნოდიამ წერეთელი შეცვალა, თბილისელები მასპინძელთა საჯარიმო მოედანზეც გამოჩნდნენ. შეხვედრის დამთავრებამდე 10 წუთით ადრე მ. მაჩაიძის ძლიერი დარტყმა რუდაკოვმა ძლივს მოიგერია.

კიევის დინამოელები სტადიონს უკმაყოფილონი ტოვებდნენ, ვინაიდან შინ ასეთი ანგარიშით მოგება მათ დიდ გარანტიას არ აძლევს საპასუხო მატჩში, რომელიც თბილისში ჩატარდება 5 ივლისს.

თბილისელებს შინ გამარჯვების გაცილებით მეტი შანსი აქვთ, ოღონდ ამისთვის მთელი ძალა უნდა მოიკრიბონ.

ვ. ბუჩმა.

(ტელეფონით, ჩვენი კორ.).

## „ზარიას" ძნელი ბრძოლა ელის

გუშინწინ ვოროშილოვგრადში გაიმართა საკავშირო თასის გათამაშების მეორე ნახევარფინალური შეჯიბრების პირველი შეხვედრა ადგილობრივ „ზარიასა" და დონეცკის „შახტიორს" შორის. გაიმარჯვა „ზარიამ" — 2:1. გოლები გაიტანეს ელისეევმა (39-ე წუთზე), ვ. კუზნეცოვმა (74) და დონეცკელმა გუბიჩმა.



# აქ გაიზარდნენ ცნობილი ფეხბურთელები

თბილისში ერთ ბიჭსაც ვერ ნახავთ ისეთს, ორჯონიკიძის ქუჩაზე მდებარე სკოლის შესახებ რომ არ სმენოდეს. ამ სკოლის ყველა კურსდამთავრებული ფეხბურთელი არ გამოსულა, მაგრამ აქ გატარებული წლები ახალგაზრდებს არასდროს დაავიწყდებათ.

თბილისის განათლების განყოფილების ბავშვთა და მოზარდთა სპეციალიზებული ფეხბურთის სკოლა. აქ გაიზარდნენ ცნობილი ფეხბურთელები, შემდეგში თბილისის „დინამოს", ქუთაისის „ტორპედოს", ქვეყნის ნაკრების წევრები. მწვანე მინდვრებზე ახლაც თამაშობენ ამ სკოლის აღზრდილები — კახი ასათიანი, ვახტანგ ჰელიძე, დავით ყიფიანი, ძმები მაჩაიძეები და სხვ.

ნორჩი ფეხბურთელები კონტაქტობის წყაროს სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფში (9-დან 18 წლამდე) ეუფლებიან გამოცდილი მასწავლებლების, სკოლის დირექტორის, საქართველოს დამსახურებული პედაგოგის შ. მერკვილაძის, რესპუბლიკის დამსახურებული მწვრთნელების კ. მესხისა და ე. ოდიკაძის ხელმძღვანელობით.

გულმოდგინე ვარჯიში, ფეხბურთის სიყვარულს შედეგიც კარგი მოსდევს: სკოლის აღსაზრდელები საქართველოს 1973 წლის ჩემპიონები არიან ყველა ასაკობრივ ჯგუფში. შარშან მათ ჭაბუკთა საკავშირო პირველობაში ოქროს მედლები დაისაკუთრეს.

ბურთი დაქრის მინდორზე. ბიჭები შეჯიბრებისთვის ემზადებიან.

• • •

სურათზე: გაფრთხილება (რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი გ. ხუფიაშვილი).

გ. კიკვაძის ფოტო. (საკდესი).



# დირექტორი მაგალითს აძლევს

ცხინვალის სამკერვალო ფაბრიკის შესასვლელში გაკრული განცხადება იუწყებოდა: ქალაქის სტადიონზე ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეებისთვის ტარდება შეჯიბრება მშდ კომპლექსის ნორმატივების ჩასაბარებლად. დანიშნულ დროს სტადიონის მძლეოსნურ სექტორებში და დოსაავის ტირში ასამდე ქალმა და კაცმა მოიყარა თავი. მათ შორის იყვნენ ფაბრიკის დირექტორი მ. კასრაძე, პარტბიუროს მდივანი ბ. ბეკოევი, ადგილკომის თავმჯდომარე ვ. ტასოევა და კომკავშირის კომიტეტის მდივანი ო. ხანიკაევა.

მონაწილენი ასაკობრივ ჯგუფებად დანაწილდნენ. შეჯიბრება ერთდროულად სამ სახეობაში დაიწყო.

უფროსი ასაკის ჯგუფიდან ტყვიის სროლაში, 100 მეტრზე რბენასა და ბირთვის კვრაში მშდ კომპლექსის ნორმატივები ჩააბარეს პროფესიის ოსტატებმა რ. სანაკოევამ და ზ. ჯიკაევამ, ცვლის უფროსმა ა. ქელეხსაევამ, ოსტატებმა ო. ნანიევამ, ს. ცანიანმა, მ. ბეკოევამ, ფაბრიკის დირექტორმა მ. კასრაძემ.

მკერავმა რ. ჯიოევამ ბირთვი 10 მეტრსა და 80 სანტიმეტრზე ჰკრა. ნ. გაბარაევას შედეგია 8,50, ნ. ლაფაჩისა — 8,45, მელიტე გ. ძუკაევასი — 8,40.

ნორმატივების ჩაბარებაში თავი გამოიჩინეს, აგრეთვე, მკერავმა თ. ვალიევამ, საამქროს უფროსმა ე. ძაგოევამ, ოსტატმა ზ. ბაგაევამ, იურისკონსულტმა ი. ქელეხსაევამ.

სულ ამ შეჯიბრებაში ახალი კომპლექსის ნორმატივები მონაწილეთა ნახევარზე მეტმა ჩააბარა.

ვ. ჩელქოევი.

(ჩვენი კორ.).

ცხინვალი.



სახალხო ხელისუფლების წლებში მონღოლეთში სპორტის ეროვნულ სახეობებთან — ჭიდაობასთან, მშვილდოსნობასთან, დოღთან ერთად ფართოდ გავრცელდა ძალოსნობა, მძლეოსნობა, ტანვარჯიში, ფეხბურთი, ფრენბურთი და სპორტის სხვა სახეობები.

• • •

სურათებზე: მარცხნივ — დოღი დღემდე ძალიან პოპულარულია მონღოლეთში. მარჯვნივ — მძლავრი მანქანის დამორჩილება უფრო ძნელია, ვიდრე ცხენისა.

მონცამე-საკდესის ფოტო.



## ოჰ, ეს რეკლამა!

ეს პირველად ხდება, რომ პროფესიულ ველომრბოლელთა მთავარი ასპარეზობა „ტურ დე ფრანსი", როგორც ყოველთვის, საფრანგეთის ტერიტორიაზე კი არ ტარდება, არამედ... ინგლისში. ასე გადაწყვიტეს ამ შეჯიბრების ორგანიზატორებმა. მართალია, შეჯიბრება სტარტს აიღებს საფრანგეთის ქალაქ ბრესტში (აქ ჩატარდება პირველი ეტაპი), მაგრამ შემდგომ რბოლა გადაინაცვლებს ინგლისის ტერიტორიაზე. მონაწილენი ლა-მანშს გადალახავენ სამხედრო შვეულმფრენებით, ხოლო ალჭურვილობას ბორნით გადაიტანენ.

„ტურ დე ფრანსის" შეჯიბრების საფრანგეთიდან ინგლისში გადატანას აქვს თავისი მიზეზი, რომელსაც რბოლის ორგანიზატორები მალავენ. ეს არის პროფესიული სპორტისთვის დამახასიათებელი რეკლამა. ასპარეზობის მონაწილენი ხომ ფირმების ნაწარმის რეკლამით არიან დაკავებული და მათი ძალიან მცირე ჯგუფი თუ ფიქრობს სპორტულ წარმატებაზე, უმრავლესობისთვის (რბოლაში მონაწილეობს 130 სპორტსმენი) მთავარია ასიამოვნოს ფირმების მესვეურებს და მიიღონ დაპირებული გასამრჯელო.

ამბობენ, ამ რბოლის ერთ-ერთი ფავორიტი, ბელგიელი ე. მერქსი ჩვეულ სპორტულ ფორმაში არ არისო, მაგრამ სულ სხვა აზრისაა თვით სპორტსმენი, რომელიც ფიქრობს 4080-კილომეტრიანი დისტანცია ყველაზე სწრაფად გაიაროს.

# პუერტო-რიკო კალათბურთელებს ელის

3 ივლისს შორეულ პუერტო-რიკოში იწყება კალათბურთელ ვაჟთა VII მსოფლიო ჩემპიონატი. 26 ივნისს მოსკოვიდან ჩემპიონატში მონაწილეობის მისაღებად გაფრინდა სსრ კავშირის ნაკრები. მწვრთნელებმა ვ. კონდრაშინმა და ს. ბაშკინმა შეარჩიეს 12 კალათბურთელი, რომლებსაც მოუხდებათ პუერტო-რიკოში თამაში. ესენი არიან: მოსკოვის არმიელები — ს. ბელოვი (სიმაღლე 190 სმ), ი. ედეშკო (195), ვ. მილოსერდოვი (187), მოსკოვის დინამოელები — ა. ბოლოშევი (205), ა. ხარჩენკოვი (201), ვ. ჟიგილი (206), ლენინგრადის სპარტაკელები — ა. ბელოვი (200), ი. პავლოვი (201), ა. ბოლშაკოვი (179), კაუნასელი — მ. პაულაუსკასი (192), ტარტუელი პ. ტომსონი (186) და კიევის „სტროიტელის" წარმომადგენელი ა. სალნიკოვი (197).

როგორც ხედავთ, მწვრთნელებმა ამჯერად უარი თქვეს „გიგანტებზე" (დიაჩენკო, ს. კოვალენკო, ტკაჩენკო), რომლებსაც აკლიათ სისწრაფე და მანევრულობა და უპირატესობა მიანიჭეს მოძრავ, შედეგიან კალათბურთელებს.

მოსკოვიდან გაფრენის წინ სსრ კავშირის ნაკრების მწვრთნელმა ს. ბაშკინმა ჟურნალისტებს განუცხადა: „ბოლო დროს ჩვენმა ბიჭებმა გულშემატკივრებს იმედები გაუწბილეს. ამჯერად შევეცდებით აღვიდგინოთ დაკარგული რეპუტაცია. გუნდმა წარმატებით გაიარა წვრთნა და მისი ყველა წევრი აგრესიულადაა განწყობილი. ვფიქრობ, სსრ კავშირის ნაკრები ახლა უფრო ძლიერია, ვიდრე ბრაზილიის ტურნეში და აშშ-ს კალათბურთელებთან ამხანაგურ შეხვედრებში".

შემდეგ მწვრთნელმა დაასახელა საბჭოთა გუნდის მთავარი მეტოქეები. ძირითად ფავორიტად მას აშშ-ს ნაკრები მიაჩნია. ძლიერი გუნდები ჰყოლებათ, აგრეთვე, იუგოსლავიას და პუერტო-რიკოს. მწვრთნელმა არაფერი თქვა ბრაზილიისა და კუბის გუნდებზე, მაგრამ, ვფიქრობთ, პუერტო-რიკოში ისინიც დიდი გეგმებით მიემგზავრებიან.

სსრ კავშირის კალათბურთელები გამოდიან „ა" ჯგუფში. პირველ მატჩს ისინი გამართავენ 3 ივლისს ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკასთან. მეორე დღეს შეხვდებიან ბრაზილიელებს, 5 ივლისს კი მექსიკის ნაკრებთან ითამაშებენ.

„ბ" ჯგუფში გაერთიანებული არიან შემდეგი კოლექტივები: აშშ, ესპანეთი, ფილიპინები და არგენტინა. „გ" ჯგუფში — კუბა, კანადა, ჩეხოსლოვაკია და ავსტრალია. ჯგუფური ტურნირები ჩატარდება წრიული სისტემით. ორ-ორი გუნდი ყოველი ჯგუფიდან, აგრეთვე, მსოფლიო ჩემპიონი — იუგოსლავია და ტურნირის მასპინძელი ქვეყანა პუერტო-რიკო შექმნიან ფინალურ ჯგუფს, სადაც წრიული სისტემით გათამაშდება ჩემპიონატის ყველა, რვა ადგილი.

რედაქტორის მოადგილე
ზ. ჯაფარიძე.

თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტი აცხადებს, რომ ლისის ტბის საწყლოსნო სადგურში ყოველდღე, 7-დან 14 საათამდე გამოცდილი ინსტრუქტორების ხელმძღვანელობით ტარდება მეცადინეობა ცურვის შესწავლის მსურველთათვის.

ცნობებისთვის მიმართეთ საწყლოსნო სადგურის დირექციას.

# ფრენბურთი: პრობლემები და საზრუნავი

საქველი კომენტარი

ქალთა და ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატების დასკვნითი ტურების შემდეგ, რომლებმაც გამარჯვება არმიელთა კლუბებს მოუტანა, უძლიერესმა ფრენბურთელებმა მსოფლიო პირველობისთვის დაიწყეს მზადება. ეს შეჯიბრება მექსიკაში ჩატარდება ოქტომბერში.

36-ე ჩემპიონატი დაძაბულობით გამოირჩეოდა. მოსკოვში, შეჯიბრების დასკვნითს ტურში ოქროს მედლებისთვის ხუთი გუნდი იბრძოდა. ასეთი რამ საბჭოთა ფრენბურთის ისტორიას არ ახსოვს. მართალია, ოდესის ემოციური, განწყობილების ამყოლი გუნდი, და ბაქოს „ნეფთჩი", რომელიც აშკარად დაღლილი ჩანდა და რომლის მეთაური — ინა რისკალი არ იყო ფორმაში, „ოქროს მაძიებელთა" რიცხვს თითქმის მაშინვე გამოაკლდნენ.

მონაწილეთა შორის დარჩნენ „დინამო" — შარშანდელი ჩემპიონი, ცსკა — დინამოელთა მუდმივი მეტოქე, და ვოროშილოვგრადის „ისკრა", რომელიც ჯერ მხოლოდ მეორე წელია უმაღლეს ლიგაში თამაშობს, მაგრამ უკვე დიდი ყურადღება დაიმსახურა. ყველაფერი გადაწყვიტა ორმა მატჩმა. ცსკა-მ ორივე მეტოქე დაამარცხა და ხუთწლიანი შუალედის შემდეგ ჩემპიონი გახდა. ქალთა ფრენბურთის ახალი ლიდერის მთავარი ღირსება ისაა, რომ იგი მუდამ მზადაა ნებისმიერ მეტოქესთან შესახვედრად, სულ ერთია, ძლიერი გუნდი იქნება იგი თუ აუტსაიდერი. სწორედ ეს აკლდა შარშანდელ სეზონში „დინამოს". ბევრი ლაპარაკია იმის შესახებ, რომ „დინამოს" თამაში გააუფერულა გუნდში ქვეყნის უძლიერესი ფრენბურთელის ნ. სმოლეევას არყოფნამ. დიახ, ეს მართლაც საპატიო მიზეზია, თუ გავიხსენებთ ლიდერის როლს, რომელსაც შარშან სმოლეევა ასრულებდა „დინამოს" და სსრ კავშირის ნაკრების შემადგენლობაში.

მაგრამ ეს მთავარი მიზეზი მაინც არ არის. მთავარი ისაა, რომ წლევანდელი „დინამო" საკმარისად მომზადებული არ აღმოჩნდა ჩემპიონატისთვის. გუნდმა საკავშირო პირველობა მეორეხარისხოვან მოვლენად მიიჩნია, რადგან „ოქრო" უკვე თავისად ეგულებოდა და მთელი ყურადღება ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშებაზე გადაიტანა. „დინამო" მხოლოდ ქების ღირსია იმისთვის, რომ ბუდაპეშტიდან თასი ისევ მოსკოვში დააბრუნა, მაგრამ ქვეყნის ჩემპიონატში გუნდს ფიზიკური და მორალური რესურსები არ ეყო. როგორ არ მოვიყვანოთ მაგალითად ცსკა-ს ვაჟთა გუნდი, რომელიც ერთნაირი სერიოზულობით მოეკიდა სსრ კავშირის ჩემპიონატსაც და ევროპის ტურნირსაც. ანალოგია პირდაპირია, თუ გავითვალისწინებთ, რომ ცსკა ვაჟთა ნაკრების საბაზო გუნდია, „დინამო" — ქალთა ნაკრებისა. დინამოელთა მხრიდან უპასუხისმგებლობა და გულგრილობა გამოჩნდა გადამწყვეტ მატჩებშიც და ნაკლებ პრინციპულ შეხვედრებშიც. ეს არ შეშვენით სპორტსმენებს, რომლებიც მსოფლიო ჩემპიონატში საბჭოთა ფრენბურთის ღირსების დასაცავად ემზადებიან.

აუცილებელია რამდენიმე სიტყვა ითქვას ჩემპიონატის სტრუქტურის შესახებ. უდავოა, ტურობრივ სისტემას, რომლითაც თორმეტივე გუნდი ორ-ორჯერ იყრის თავს ერთად, როგორც ეს წლეულს იყო ჩელიაბინსკსა და მოსკოვში, ბევრი ღირსება აქვს. ნაკრების ხელმძღვანელებს შესაძლებლობა ეძლევათ „საქმეში გამოსცადონ" ქვეყნის მთავარი გუნდის კანდიდატები. სპეციალისტებსა და მწვრთნელებს შეუძლიათ ერთმანეთს გაუზიარონ შეხედულებები ფრენბურთის პრობლემებზე.

მაგრამ ... არის ერთი „მაგრამ". სატურნირო ცხრილის შუაში მყოფი გუნდებისთვის მატჩების შედეგს არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. დაბალ ლიგაში გადაყვანის საფრთხე მათ არ ემუქრებათ, ლიდერებს კი ვერც პრაქტიკულად დაეწევიან, ვერც თეორიულად. ამიტომ იყო, რომ შეხვედრებში, სადაც ბოლოსწინა, მეთერთმეტე ადგილის ბედი წყდებოდა (ამ ადგილზე აღმოჩნდა ტაშკენტის გუნდი), „საშუალოები" უბრძოლველად ნებდებოდნენ აუტსაიდერებს. ასე იყო, მაგალითად, მოსკოვის „ლოკომოტივის" ბოლო მატჩში ლენინგრადის „ბურევესტნიკთან". მოსკოველებმა, რომელთაც ოდნავაც არ აინტერესებდათ ბრძოლის შედეგები, ლენინგრადელებს „დაუთმეს" — 0:3, რის წყალობითაც ეს უკანასკნელნი სატურნირო ცხრილში ტაშკენტის გუნდზე ერთი საფეხურით მაღლა აღმოჩნდნენ. სხვათა შორის, ყოველივე, რაც ზემოთ ითქვა ჩემპიონატის ორგანიზაციის შესახებ, ვაჟთა ტურნირსაც შეეხება.

იქნებ სჯობს ისე გავაკეთოთ, რომ დასკვნითს მატჩებში ერთი და იგივე მიზნისთვის მებრძოლი გუნდები შეხვდნენ ერთმანეთს? ვთქვათ, შეექმნათ კლუბების სამი ჯგუფი. ერთნი იბრძოლებენ საპრიზო ადგილებისთვის, მეორენი — სატურნირო ცხრილში უფრო მაღალი საფეხურის დაკავებისთვის, მესამენი — უმაღლეს ლიგაში თამაშისთვის.

რასაკვირველია, ეს საკითხი დეტალურ განხილვას მოითხოვს.

უმაღლესი ლიგის თითქმის ყველა გუნდში გამოჩნდნენ ახალგაზრდა ნიჭიერი ფრენბურთელები. ჩემპიონატის მატჩების მონაწილეთაგან პირველ ყოვლისა უნდა დავასახელოთ 19 წლის მ. მილოვიდოვა (ცსკა), 22 წლის ნ. კოლდობენკო („ისკრა"), 17 წლის ე. პეტრუნინა („ავტომობილისტი", ტაშკენტი). მიუხედავად ამისა, ეს ახალგაზრდა, ნიჭიერი ცვლა ვერ აკმაყოფილებს ნაკრების მწვრთნელებს. იგივე სმოლეევა, რისკალი, ბულდაკოვა 18-19 წლის ასაკში უკვე კლუბებისა და ნაკრების მთავარი მოთამაშეები იყვნენ. დღეს არც ერთი ასეთი ფრენბურთელი არა გვყავს. მიზეზი? ბავშვთა და მოზარდთა შორის ფრენბურთის განვითარების დაბალი დონე. და თუ დღეს ეს ნაკლი თითქმის შეუმჩნეველია ფრენბურთის უმაღლეს დონეზე (რასაც დიდად უწყობს ხელს ქვეყნის ნაკრებისა და საკლუბო გუნდების გამარჯვებები ათასგვარ ტურნირებში), მომავალში მან ადვილი შესაძლებელია თავი იჩინოს.

ბავშვთა ფრენბურთის განვითარების თვალსაზრისით საინტერესოა იაპონიის მაგალითი. ბავშვები იქ ფრენბურთის თამაშს სკოლებში იწყებენ 9-11 წლის ასაკში. თამაშობენ მსუბუქი ბურთით ჩვეულებრივზე მცირე ფართობის მოედანზე. პარალელი რომ გავავლოთ, იაპონელი ბავშვები ფრენბურთის ტექნიკას იმ ასაკში ეცნობიან, რა ასაკშიც ბრაზილიელები ფეხბურთის საიდუმლოების შესწავლას იწყებენ.

ბავშვთა და მოზარდთა ფრენბურთისადმი ყურადღების გამოჩენა საბჭოთა კავშირის ყველა, თუნდაც პატარა ქალაქში, პირველ ყოვლისა ჩვენი ფრენბურთის კარგი მომავლისთვის ზრუნვა იქნება.

ა. გორბუნოვი.



## ბალახის ჰოკეი

**მადრიდი.** ბალახის ჰოკეიში ევროპის პირველობის ფინალში ესპანელებმა დაამარცხეს გფრ-ის ნაკრები — 1:0.

## ნიჩბოსნობა

**ბელგრადი.** აკადემიურ ნიჩბოსანთა საერთაშორისო რეგატაში ბულგარეთის, კუბის, იუგოსლავიის, რუმინეთისა და ჩეხოსლოვაკიის სპორტსმენები მონაწილეობდნენ. საერთო ჩათვლაში ყველას აჯობეს ბულგარელებმა.

## ავტოსპორტი

**ბრიუსელი.** ბრაზილიელმა ავტომობილისტმა ე. ფიტიპალდიმ მოიგო „ბელგიის დიდი პრიზი" პირველი ფორმულის მანქანებით რბოლაში.

**მონაკო.** „მონაკოს დიდ პრიზზე" 32-ე საერთაშორისო შეჯიბრებაში ყველას აჯობა ე. პეტერსონმა (შვეცია). მომდევნო საპრიზო ადგილებზე გავიდნენ მ. რეგაცონი (შვეიცარია) და ქ. ლაუდა (ავსტრია).

„ლოკომოტივის" სტადიონი

(ი. ჭავჭავაძის პრ. № 74)

სსრ კავშირის ჩემპიონატი

1 ივლისს

„დინამო" (თბილისი) — „ნისტრუ" (კიშინიოვი)

დასაწყისი 19 ს., 30 წ.

ბილეთების წინასწარი გაყიდვა ორგანიზაციებში 1 ივლისს, აბონემენტებზე დღეს 12 საათიდან 19 საათამდე სტადიონის სალაროებში. საერთო გაყიდვა 1 ივლისს 10 საათიდან.

თბილისი სპორტულ ეკრანზე

**რეგბი.** „ლოკომოტივის" სტადიონი. დღეს. სსრ კავშირის პირველობა უმაღლესი ლიგის გუნდებს შორის. „ლოკომოტივი" (თბილისი) — „განთიადი" (თბილისი). დასაწყისი 18 ს., 30 წ.

**თანამედროვე ხუთჭიდი.** საქართველოს ჭაბუკთა საუწყებო პირველობა. დღეს, ცხენოსნობა (იპოდრომზე). დასაწყისი 11 ს.

ИНДЕКС 8644
საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14.
უე 10694